ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს წევრის სახელი გვარი: ლავრენტი ბიგვავა

თანამდებობის დასახელება: კომისიის თავმჯდომარე

კომისიის დასახელება -

1. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
2. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

ფრაქციის დასახელება: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო";

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით): პროპორციული (ქართული ოცნებიდან);

საანგარიშო პერიოდი: 01.10.2019წ. – 31.10.2020წ.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე): რიგითი;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1.სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 20

ა) საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 20

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 19 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი -

ა) კომისიის სხდომებზე დასწრება 19 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი -

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 9

ა) ფრაქციის სხდომებზე დასწრება 8

საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესი (მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების პროცესი).
2. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის წესი (საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აღნიშნული წესის ცალკეული მუხლების შეთანხმების პროცესი მერიის შესაბამის სამსახურებთან). მიმდინარე პერიოდისათვის წესი დამტკიცებულია საკრებულოს მიერ.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა 1 დადგენილება, - განკარგულება

საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი საშუალოვადიან პერსპექტივაში.
3. დასუფთავების მოსაკრებელისა და გადახდის ინსტრუქციის დაზუსტებული ვარიანტი.
4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესი.
5. სასაფლაოების მოვლა-პატრონობის წესი.
6. შინაური ცხოველების ყოლის წესი.
7. უსახლკარო პირების თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები.
8. ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამები.
9. კვარტლური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
10. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების რეგულირების წესი.
11. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და კომუნალური პროგრამები.
12. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩების სახელდებისა და დამისამართების საკითხები.
13. კურორტ გომისმთის სახელდების და სტატუსის განსაზღვრა.

ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

1. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ელბოძების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით გასაცემი საჯარო ქირის ოდენობა.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის რამოდენიმე მუხლი, მათ შორის:
   - ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მოცულობის წინა წელთან შედარებით შემცირებული ოდენობით დაგეგმვა (1800 ათ.ლარი).
   - სარეზერვო ფონდის გამოყენების არსებული პრაქტიკა.

მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 42 და შეხვედრებზე მონაწილე

მოქალაქეთა რაოდენობა 203

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

1. სასმელი წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება.
2. შიდა გზების რეაბილიტაცია.
3. საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგება.
4. საცხოვრებელი სახლების (კორპუსების) ფასადების მოპირკეთება და სახურავის რეაბილიტაცია.
5. სპორტული ობიექტების მოწესრიგება, ახლების მოწყობა (მინი სტადიონი, კალათბურთის მოედანი, ველობილიკების მოწყობა, საცურაო აუზის მშენებლობა).
6. სასაფლაოებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (შეღობვა, განათების მოწყობა, წყლის მიყვანა).
7. დასუფთავების პროექტების ეფექტიანი მართვა.
8. უსახელო ქუჩების სახელდება და დამისამართების პრობლემების მოგვარება.

9. მგზავრთა გადაყვანის (მუნიციპალიტეტის საზღვრებში) პრობლემის მოგვარება.

მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები):

1. რეკომენდაცია პრობლემის მოგვარების შესაძლებლობაზე.
2. მოქალაქის პრობლემის გადაწყვეტის საკითხის დაყენება მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე.
3. კომისიის სხდომებზე განხილვა და შესაბამის სახელმწიფო და სხვა სტრუქტურებთან შუამდგომლობის გაწევა.
4. მოქალაქეთა პრობლემის გადაწყვეტაზე პერმანენტული მონიტორინგის განხორციელება.

აღნიშნული ფორმების გამოყენებით მერიის მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- დაიხურა 2 საცხოვრებელი სახლი;
- მოპირკეთდა 2 საცხოვრებელი კორპუსის ფასადი;
- ექსპლუატაციაში შევიდა სრულიად ახალი საკანალიზაციო ქსელი;
- რეაბილიტირებულ იქნა ქალაქის ტერიტორიაზე ერთი ქუჩა;
- მოიხრეშა საავტომობილო გზა - 560გრ/მ;
- მოეწყო 7 გარე განათების სისტემა;
- მოსახლეობას მიეწოდა 30 კუბ/მ შეშა;
- სოც. დახმარება გაეწია - 47 - მოქალაქეს;
- ექსპლუატაციაში შევიდა ანასეულის წყალმომარაგების ქსელი;
- გასულ წელს დამუშავდა ერთი სოფლის სატრანსპორტო გზის რეაბილიტაციის პროექტი და აისახა 2021 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

1. საკრებულოს ბიუროს სხდომებში მონაწილეობა (27-ჯერ).
2. საკრებულოს თავმჯდომარის და მოადგილის მიერ გაწეულ თათბირებში მონაწილეობა (12-ჯერ).
3. კითხვები მერს და მერიის სამსახურების პასუხისმგებელ პირებს - 40-ჯერ.
4. სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობა - 5-ჯერ.
5. მოსახლეობის საჩივრების შესწავლა ადგილზე გასვლით - 11-ჯერ.

შევსების თარიღი 26.12.2020 წ.

წარდგენის თარიღი 03.02.2021წ.

ხელმოწერა